უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

12.07.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბოჭორიშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
აკაკი ხელაძე - შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი;
ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი
ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის" დეკანი, პროფესორი;
მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.
თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ნიუ უნივერსითი:

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე - რექტორი;
ზურაბ ლობჟანიძე - დაწესებულების წარმომადგენელი;
დევი ხვედელიანი - დაწესებულების იურისტი.

სხვა დამსწრე პირები:
ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისა და შპს ნიუ უნივერსითის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა წარმოადგინა შუამდგომლობა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ მიმდინარე წლის 10 აპრილს ძალაში შევიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ. შესაბამისად, სპეციალიზაციის კოდები მოითხოვდა ცვლილებას, იქ სადაც მითითებული იყო ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრული სპეციალიზაციები, შესაბამისად ხდება მათი პერიოდული განახლება საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობით.

ნანი დალაქიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55-ე გადაწყვეტილებაში, ერთ-ერთი პროგრამის სახელწოდებას წარმოადგენს სატრანსპორტო გადაზიდვების ლოგისტიკა, ხოლო დაწესებულებამ ითხოვა ცვლილება, რომ პროგრამის სახელწოდებად მიეთითებინათ - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა. ასევე, დაწესებულებამ მოითხოვა, რომ სამი პროგრამისათვის - საბაჟო საქმე, საოფისე საქმე და სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა, შეცვლილიყო კვალიფიკაციის კოდები და მითითებულიყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ოთხნიშნა კოდის მიხედვით.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების

უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55-ე გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელებ ს მისამართი / მისამართები
1	ტანსაცმლის დიზაინი	მეოთხე	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **080377**	90	ქართული	51	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 1
2	კინოტელერეჟისორი	მეხუთე	კინოტელერეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **080151**	120	ქართული	25	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 1
3	სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი	მეხუთე	სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112053**	70	ქართული	5	ქ. თბილისი, უნივერსიტეტ ს ქ. N 2
4	ტურიზმის მენეჯმენტი	მეოთხე	ტუროპერატორის ტუროპერატორი (აგრო-, ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112052**	70	ქართული	13	ქ. თბილისი, უნივერსიტეტ ს ქ. N 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი *(1)*	მეხუთე საფეხური	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **030254**	111	141	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 11ა
							40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
2	ბიბლიოთეკარი *(1)*	მეოთხე საფეხური	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **070852**	86	116	ქართული	40	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 11
3	საბაჟო საქმე *(1)*	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში **1032**	93	123	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2
							40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
4	შემფასებელი *(1)*	მეხუთე საფეხური	შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **020453**	121	151	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2
							40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
5	ტუროპერატორი *(1)*	მეხუთე საფეხური	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112062**	114	144	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2

6	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი *(1)*	მეხუთე საფეხური	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112063**	115	145	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2
7	საოფისე საქმე *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში **0415**	59	89	ქართული	40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
8	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში **0413**	69	99	ქართული	40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8

2. შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისა და შპს ნიუ უნივერსითის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა

ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტმა, გიორგი მუნჯიშვილმა წარმოადგინა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისა და შპს ნიუ უნივერსითის რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით კორესპონდენცია, რომელიც ცენტრმა 2019 წლის 3 ივლისს მიიღო .

ზემოაღნიშნული კორესპონდენციით შპს ნიუ უნივერსითიმ ცენტრს მიაწოდა ინფორმაცია შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისა და შპს ნიუ უნივერსითის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უმაღლესი სასწავლებლის წესდებით გათვალისწინებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. გიორგი მუნჯიშვილმა აღნიშნა, რომ ნიუ უნივერსითიმ მტკიცებულებად დანართის სახით წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, სადაც რეორგანიზაციის ისტორიაში მოცემულია ინფორმაცია ორი დაწესებულების შერწყმის შესახებ. ამასთან, დაწესებულებამ წერილით წარმოადგინა ის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ორი იურიდიული პირის გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი იურიდიული პირი განახორციელებს ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.
ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი მუნჯიშვილმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში დააზუსტა, რომ სამ აკადემიურ პროგრამას გასული ჰქონდა აკრედიტაციის ვადა, ეს პროგრამები იყო: ფინანსების (ინგლისურენოვანი კომპონენტით) საბაკალავრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა.

ასევე, დაწესებულებამ წერილობით წარმოადგინა ინფორმაცია ორივე უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანების შედეგად აქტიური სტუდენტების რაოდენობის შესახებაც, რომელიც შეადგენს 1024 სტუდენტს, ჯამური ზღვრული რაოდენობა ამ ორი იურიდიული პირის გაერთიანების შედეგად კი არის 1150. (შპს ნიუ უნივერსითი - 800; შპს ქართულ - ევროპული უმაღლესი სასწავლებელი - 350.).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაში ასევე მოცემულია ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებაც, რომელიც ყველა პროგრამის გათვალისწინებით შეადგენდა 135-ს, მოწვეული პერსონალის რაოდენობა წარმოადენდა - 144-ს, დაწესებულების საერთო ფართის კი შეადგენს - 1796,43 კვადრატულ მეტრ, საიდანაც სასწავლო ფართი წარმოადგენს 937 კვადრატულ მეტრს.

ამასთან, გიორგი მუნჯიშვილის განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის გამოქვეყნების შემდეგ, შპს ნიუ უნივერსითის წარმომადგენლებმა მიმართეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წერილით, სადაც დაზუსტებული იყო აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელიც წარმოადგენს 148-ს.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ პერსონალის თანამდებობის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით დაწესებულებას უნდა გამოაცხადებინა ხელახალი კონკურსები აკადემიური პერსონალისთვის, ასევე დღის წესრიგში იყო ახალი მისიის ჩამოყალიბება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის

აუცილებლობა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შექმნა. წერილში ასევე დაწესებულება აღნიშნავდა, რომ სტუდენტების უფლებები დაწესებულებისთვის პრიორიტეტული იყო და იმისთვის, რომ სტუდენტების უფლებები არ დარღვეულიყო და სტუდენტებს მისცემოდათ ახალ გარემოში ადაპტირების შესაძლებლობა, ახლადჩამოყალიბებულ უსდ-ს უნდა მისცემოდა გონივრული ვადა, 1 წელი პროცესების განსახორციელებლად და ავტორიზაციის მოსამზადებლად.

ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი მუნჯიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლა ემთხვევა რეორგანიზაციის პერიოდს, ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ხოლო, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულების სტუდენტთა ადგილების რაოდენობა უნდა შეადგენდეს რეორგანიზაციამდე არსებული რაოდენობების ჯამს. ასევე ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორივე დაწესებულების შემთხვევაში ავტორიზაციის ვადა სრულდებოდა 2019 წლის 1 აგვისტოს.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ავტორიზაციის საბჭოსთვის წარედგინათ მათი გეგმები ავტორიზაციის საბჭოს მიერ მათთვის 1 წლიანი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, ვინაიდან ორი დაწესებულების გაერთიანებისას აღნიშნულ ვადაში შვიდი სტანდარტით ავტორიზაციისთვის მომზადება დიდ ძალისხმევასა და შრომას მოითხოვდა. ასევე საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა ელოდათ მეორე და მესამე კურსის სტუდენტების, მაგალითად სახელმწიფო გრანტის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნიუ უნივერსითი უკვე იყო მზად ავტორიზაციისთვის, მათ წარმოადგინეს კიდეც განაცხადი, თანმხლები დოკუმენტებით, თუმცა ამის შემდეგ დაიწყო ორი დაწესებულების შერწყმის პროცესი. გამომდინარე აქედან, აუცილებელი გახდა სამუშაოების ხელახლა დაწყება, შეიქმნა სტანდარტების მიხედვით სამუშაო ჯგუფები.

სხდომას 16:10 საათზე შემოუერთა საბჭოს წევრი, რამაზ საყვარელიძე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა სახელი ექნებოდა უნივერსიტეტს შერწყმის შემთხვევაში, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სახელი და საინდენტიფიკაციო კოდი არ შეიცვლებოდა, რეორგანიზაციის შედეგად შპს ქართულ-ევროპულმა უმაღლესმა სასწავლებელმა შეწყვიტა არსებობა და არსებობას განაგრძობდა ნიუ უნივერსითი თავისი საიდენტიფიკაციო კოდით. გარდა ამისა, მისი განმარტებით, როგორც მათ წერილშიც მიუთითეს, აუცილებელი იქნებოდა აკადემიური პერსონალისთვის კონკურსის ხელახლა გამოცხადება, ზოგიერთი პროგრამის განახლება, ასევე მისი თქმით, მითითებულ მისამართზე, სადაც მდებარეობდა ნიუ უნივერსიტეტი, მიმდინარეობდა მასშტაბური რეკონსტრუქცია, სტადიონის მშენებლობა, ფართოვდებოდა ბიბლიოთეკა, იქმნებოდა ღია ბიბლიოთეკა, ასევე შენობას ემატებოდა ახალი სარეკრეაციო სივრცე და აუდიტორიები სტუდენტებისთვის. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, საბჭოს წევრების მიერ, მაქსიმალური 1 წლით ავტორიზებული რეჟიმის მინიჭების შემთხვევაშიც კი რთული იქნებოდა აღნიშნული მასშტაბური სამუშაოების

დასრულება, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა მათ მეტის მოთხოვნის საშუალებას არ აძლევდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ 1 წელი არ იყო სრული ვადა, ვინაიდან დოკუმენტების წარდგენა ავტორიზაციისთვის საჭირო იყო 6 თვით ადრე, წარმოების ვადებიდან გამომდინარე, რათა ერთწლიან ვადაში დასრულებულიყო მთლიანი პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო ცენტრის თანამშრომლის მოხსენებასაც და დააზუსტა, რომ უნივერსიტეტში სემესტრი დასრულდა და ბოლო მონაცემებით აქტიური სტუდენტების რაოდენობა იყო - 767 სტუდენტი, ასევე დააზუსტა, რომ შპს ნიუ უნივერსითის ბოლო ავტორიზაციის ფარგლებში ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 800-ით, ხოლო შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებისთვის განსაზღვრული იყო 350, შესაბამისად ერთობლივი ზღვრული რაოდენობა იქნებოდა 1150.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსს, თეა ნადირაძეს ახალ პროგრამებთან დაკავშირებით, ისინი ძველი ჩარჩოთი უნდა წარმოედგინა უნივერსიტეტს თუ ახლით, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაცია ახალ ჩარჩოსთან იყო თანხვედრაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის, თეა ნადირაძის განმარტებით, თუ პროგრამა იყო აკრედიტებულ რეჟიმში და შესაბამისად არ იცვლებოდა კვალიფიკაციის დასახელება, ის შესაძლებელი იყო წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც ძველი ასევე ახალი ჩარჩოთი, ხოლო კვალიფიკაციის შეცვლის შემთხვევაში, ის განიხილებოდა დღევანდელი რეგულაციებით როგორც ახალი პროგრამა და მისი აკრედიტაციის ვადა 7 წლის მაგივრად იქნებოდა 4 წელი, ასევე მისი თქმით, თუ საუბარი იყო ახალ პროგრამის შემოტანაზე, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ახალი ჩარჩოთი და შესაბამისი კლასიფიკატორით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ისინი გეგმავდნენ ახლებურად ჩამოყალიბებულიყო სწავლის შედეგები, მეთოდები და შეფასების სისტემა.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა მთლიანობაში 767 აქტიური სტუდენტიდან შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიდან რამდენი იყო აზერბაიჯანის მოქალაქე.

დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ ზუსტი მონაცემი არ ჰქონდა აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტების, თუმცა ისინი წარმოადგენდნენ სტუდენტების მთელი რაოდენის მცირე ნაწილს. ასევე მათ ჰქონდათ სტატუსი შეჩერებული ფინანსური დავალიანებისა და ქართული ენის არ ცოდნის გამო, ასევე მათ გამოთქვეს სურვილი განეხორციელებინათ მობილობა პარტნიორ უკრაინულ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარომადგენელს განუმარტა, რომ აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტების ყოლა პრობლემას არ წარმოადგენდა, უბრალოდ საჭირო იყო გარკვეული მექანიზმის ჩამოყალიბება, თუ როგორ ასწავლიდნენ აზერბაიჯანელ სტუდენტებს ქართულ ენას და შემდეგ გადაიყვანდნენ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე, ასევე დაინტერესდა თუ ჰქონდა უნივერსიტეტს რაიმე მსგავსი მექანიზმი შემუშავებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ადრე აკრედიტებული ჰქონდათ ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, რომელსაც ვადა ამოეწურა და შემოიტანეს ცენტრში განაცხადი მისი ხელახალი აკრედიტაციისთვის. გარდა ამისა, ისინი ითვალისწინებდნენ იმ შენიშვნას, რომელიც ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელს დაუფიქსირდა მონიტორინგის ფარგლებში და შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარების სურვილის შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფდა მათი ქართული ენის ცოდნის კომპეტენციის შემოწმებას, რაც ადრე არ მოეთხოვებოდათ და რასაც ასახავდნენ უნივერსიტეტის ვებგვერდზეც.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა მოითხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა დაახლოებით რამდენი აქტიური სტატუსის აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტი ჰყავდათ, უსდ-ს წარმომადგენლის პასუხით, აქტიური სტატუსი ჰქონდა დაახლოებით 20-30 სტუდენტს.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, თუ რა იყო ამ ორი იურიდიული პირის შერწყმის მოტივაცია. დაწესებულების წარმომადგენლის პასუხით მოტივაცია იყო ინსტიტუციის ყველა მხრივ გაძლიერება. მაგალითისთვის, შერწყმის შედეგად, მისი თქმით, მათ მიიღეს ახალი სტუდენტები, დაიმატეს ახალი პროგრამები, ახალი აკადემიური პერსონალი, გაიზარდა ფინანსური შემოსავალი.

საბჭოს წევრმა ქეთევან კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, რომელიც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა, აკრედიტაციას ვერ მიიღებდა 2019 წლის სექტემბრამდე წარმოების ვადებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რა ბედი ეწეოდათ იმ აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს, რომლებიც დაწესებულებაში ჩაირიცხებოდნენ სექტემბერში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტებს უნდა დაედასტურებინათ ქართული ენის ცოდნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ ჩაირიცხებოდნენ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ივარაუდა, რომ უნივერსიტეტი შეიმუშავებდა რაიმე მექანიზმის, რომლის საშუალებით მიმდინარე წელს უცხოენოვან სტუდენტებს არ მიიღებდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გავლამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიღების უფლება ისედაც არ ჰქონდათ და პროგრამაზე მიიღებდნენ ისეთ სტუდენტებს, რომლებიც დაადასტურებდნენ ქართული ენის ცოდნას სათანადო დონეზე.

საბჭოს წევრი, გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა კვალიფიკაციების განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობდა თუ არა დაწესებულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ - ის მიხედვით, ვინაიდან მათი ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამას კვალიფიკაციად მითითებული ჰქონდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ჯანდაცვის მენეჯმენტში, რაც მისი აზრით იყო შეცდომა, ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირება იყო მიმართულება, ხოლო ჯანდაცვის მენეჯმენტი იყო ქვესპეციალიზაცია. საბჭოს წევრის განმარტებით, ბაკალავრის საფეხურზე კვალიფიკაცია ენიჭება პირველი, მეორე ან პირველი და მეორე სვეტებიდან კვალიფიკაცია. შესაბამისად სწორი კვალიფიკაცია იქნებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში და არა ჯანდაცვის მენეჯმენტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მას სჭირდება დაზუსტება, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა ადრე იყო აკრედიტებული შესაძლოა დაშვებული ყოფილიყო ტექნიკური სახის შეცდომა.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა ასევე ტურიზმის პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში. მან დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირებიდან გამოსვლის შემდეგ, კვალიფიკაცია უნდა შეცვლილიყო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტურიზმის პროგრამა ამ ეტაპზე არ იყო აკრედიტებულ რეჟიმში და გადასული იყო ავტორიზებულში. დაწესებულების წარმომადგენლები არ გამორიცხავდნენ, რომ სამომავლოდ შეიმუშავებდნენ ახალ პროგრამას, როგორც ტურიზმში, ასევე ჯანდაცვის მენეჯმენტში.

საბჭოს წევრმა გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ მისი სურვილი იყო დაწესებულებას გაეთვალისწინებინა აღნიშნული შეცდომები, მომავალში მათ თავიდან ასაცილებლად, ასევე დაამატა, რომ რთული წარმოსადგენი იყო დაწესებულების მოქმედ ფართზე 1024 სტუდენტის სწავლება. პასუხად დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ სწორე მაგ მიზეზით მიმდინარეობდა შენობის გაფართოების სამუშაოები.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ უსდ-ს ნამდვილად დასჭირდებოდა მასშტაბური სამუშაოების შესრულება. მისი თქმით, დაწესებულების ვებგვერდის გაცნობისას მან ნახა უსდ-ს მისია, სადაც მისი მოსაზრებით არსებობდა მთელი რიგი გაუგებრობები. მაგალითისთვის, საბჭოს წევრი დაინტერესდა დაწესებულების მისიით და კერძოდ მისიიდან შემდგომი ამონარიდით „ახალი სიტყვა თქვას საქართველოსა და რეგიონებში". საბჭოს წევრი დაინტერესდა რა იგულისხმებოდა საქართველოსა და რეგიონებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა , რომ მისია ჩამოყალიბებული იყო ნიუ უნივერსითისთვის და როგორც მისია ასევე სტრატეგიული გეგმები გადამუშავდებოდა იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც მათ აწმყოში ჰქონდათ. საქართველოსა და რეგიონებთან მიმართებით კი თქვა, რომ იგულისხმებოდა საქართველო და სხვა ქვეყნის რეგიონები.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხშირად ჰქონდა გამოყენებული ტერმინები კრეატიულობა და ინოვაციურობა. საბჭოს წევრი ვერ მიხვდა თუ რას გულისხმობდა უნივერსიტეტი ინოვაციურობაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უმჯობესი იქნებოდა ამაზე ესაუბრათ მას შემდეგ რაც ისინი წარმოადგენდნენ მისიასა და შესაბამის პროგრამას. თუმცა მათი ხედვა სწორედ ის იყო, რომ ნიუ უნივერსითით ეთქვათ ახალი სიტყვა და არ გაემეორებინათ ის რაც იყო მანამდე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ვინ იყო მისიასა და სტრატეგიის შემუშავებაში ჩართული, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მისიისა და სტრატეგიის განვითარებაში იყვნენ ჩართულები აკადემიური პერსონალის ნაწილი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ასევე დაამატა, რომ დაწესებულების სტრუქტურა გადახალისდებოდა ადმინისტრაციისთვის, ჩატარდებოდა კონკურსი და ასევე დაამატა, რომ ამ ეტაპზე სტრუქტურა და ფაკულტეტებიც იყო ის რაც იყო მანამდე.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა სტუდენტებით, რომლებიც სწავლობდნენ შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელში და აპროტესტებდნენ მის გაუქმებას, ჰქონდათ თუ არა სურვილი ესწავლათ ახალ რეორგანიზებულ დაწესებულებაში.

უსდ-ს წარმომადგენლის განმარტებით, ისინი შეხვდნენ სტუდენტებს, როდესაც დაიწყო აღნიშნული პროცესი და შესთავაზეს სათანადო პირობები. მაგალითად უთხრეს, რომ ყველა ის პროგრამა, რაც ჰქონდა შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებლის გააგრძელებდა ფუნქციონირებას ამ უნივერსიტეტშიც, სწავლის საფასური და კრედიტები კი შეუნარჩუნდებოდათ. უსდ-ს წარმომადგენელმა დაამატა, რომ დაწესებულების ინტერესს წარმოადგენდა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების შენარჩუნება. ასევე, როგორც მან აღნიშნა ამ ეტაპზე სტუდენტებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით პროტესტი არ გამოუთქვამთ.

საბჭოს წევრმა ქეთევან კოტეტიშვილმა იკითხა, ძველი პროგრამების შენარჩუნების პირობებში, როგორ შეიქმნებოდა ახალი პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა საბჭოს წევრს, რომ ზოგიერთი მიმდინარე ძველი პროგრამა გადასული იყო ავტორიზებულ რეჟიმში, ზოგი პროგრამა განაგრძობდა არსებობს, ზოგი კი შეიცვლებოდა ახლით და შიდა მობილობით გადავიდოდნენ სტუდენტები სხვა პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა ქეთევან კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ თუ უსდ სტუდენტს უღიარებდა 60 კრედიტს, ავტომატურად ხომ არ ნიშნავდა, რომ ისინი დატოვებდნენ იმავე და მსგავს საგნებს. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზოგ სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა შიდა მობილობით გადასულიყვნენ სხვა პროგრამაზე, მთავარი იყო დაწესებულებას გაეწერა რეგულაცია ამისთვის. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ საუბარი იყო დამატებით სპეციალობაზე (მაინორი), რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საუბარი არ იყო დამატებით სპეციალობაზე, უბრალოდ ბევრ დაწესებულებას ჰქონდა მსგავსი პრაქტიკა, რომ ორი სემესტრი სტუდენტები სწავლობენ ერთსა და იმავე კურსებს, აქვთ ერთიანი „ლუფტი" გამჭვირვალობის, რათა გაერკვნენ თუ რა კვალიფიკაციის მიღება სურდათ.

საბჭოს წევრმა ქეთევან კოტეტიშვილმა უპასუხა, რომ ორი სემესტრის განმავლობაში საუბარი იყო ზოგად საგნებზე, მაგრამ რას იზამდა დაწესებულება იმ შემთხვევაში თუ პროგრამას ჰქონდა გაწერილი 180 / 60 კრედიტზე ან 210 / 30 კრედიტზე. საბჭოს თავჯდომარემ განმარტა, რომ 180 კრედიტში მოხვდებოდა პირველი წლის სემესტრები და შემდეგ დაემატებოდა დანარჩენი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაზუსტების მიზნით მოიყვანა მაგალითი: შპს ნიუ უნივერსითის, როგორც შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის უფლებამონაცვლეს დაემატა მისი ჟურნალისტიკის პროგრამა, სადაც სტუდენტები ჩვეულებრივ განაგრძობდნენ სწავლას, მაგრამ შიდა მობილობით ბიზნესის ადმინისტრირებაზე გადასვლის შემთხვევაში, მოხდებოდა კრედიტების გაანგარიშება, შედარება და სასწავლო სემესტრთან დამთხვევის შემთხვევაში მოხდებოდა მათი მობილობა აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების ხელმძღვანელს, უსდ-ს სახელწოდებასთან დაკავშირებით, ხომ არ სჯობდა დაემატებინათ ტერმინი „კოლეჯი" სახელწოდებაში, რომ ყოფილიყო ის არ ყოფილიყო სტუდენტის შეცდომაში შემყვანი, რადგან ისინი ახორციელებდნენ პირველი საფეხურის პროგრამებს. თავმჯდომარემ ასევე დაამატა, რომ კანონში ამის შესახებ არანაირი დათქმა არ არსებობს და ეს იყო უბრალოდ მისი შეკითხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გადაწყვიტეს დაწესებულებისთვის დაერქვათ ნიუ უნივერსითი, თუმცა, მისი თქმით, ავტორიზაციის პირობებში შესაძლებელია სახელწოდების ცვლილებაც განხორციელდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ დაამატა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უსდ არ განახორციელებდა სადოქტორო პროგრამას, სახელწოდებიდან გამომდინარე მათ მოეთხოვებოდათ უფრო მეტი კვლევითი კომპონენტის მიმართულებით.

საბჭოს წევრი, რიმა ბერიაშვილი დაინტერესდა უნივერსიტეტის სახელწოდება ხომ არ შექმნიდა ქართულ სიტყვათა წარმოებაში დაბრკოლებას და რატომ მაინც და მაინც „უნივერსითი", რას ნიშნავდა მათთვის ეს სიტყვა, ხომ არ იყო ის დაკავშირებული "Public health" ტერმინთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამა გააუქმეს, მათ არ ჰქონიათ გათვალისწინებული სახელწოდება ამ კუთხით. უსდ-ში გამოიყენებოდა „ნიუ უნი", ასეთი ტერმინი, მაგრამ რადგან აღნიშნულმა გარკვეული გაუგებრობა და უხერხულობა შექმნა, უნივერსიტეტში დღის წესრიგში დადგა სახელწოდების შეცვლის საკითხი, თუმცა იმისათვის, რომ აბიტურიენტები შეცდომაში არ შეეყვანათ, ეს სახელწოდება დატოვეს და გეგმავდნენ სექტემბრიდან მის შეცვლას.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა დაამატა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, ზუსტად იყო განმარტებული უნივერსიტეტის სახელწოდებები, შესაბამისად, მათ უნდა ეზრუნათ იმაზე, რომ უსდ-ს სახელწოდება არ ყოფილიყო საზოგადობის შეცდომაში შემყვანი.

საბჭოს წევრმა რამაზ საყვარელიძემ ასევე დაამატა, რომ ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა მისი მოსაზრებით, არა მარტო დოკუმენტაციის წარმოებაში უნდა იყოს ის გამოყენებული, არამედ სასურველია უსდ-მ მოძებნოს უსდ-ს სახელწოდებისთვის ისეთი ჟღერადობა, რომელიც ქართული ენიდან წარმოსდგება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულ შენიშვნას გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა გეგმები ჰქონდა დაწესებულებას და რას აპირებდა დაწესებულების ხელმძღვანელი ინოვაციურობის კუთხით, გარდა იმ სამუშაო ჯგუფებისა, რომელიც შექმნილი იყო სტრატეგიული განვითარების გეგმის შესასრულებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით გაფართოვდნენ, ააშენეს ევროპული სტანდარტის მოედანი, გაკეთდა სტუდენტთა ღია რეკრეაციული ზონა, დასასვენებელი პარკი, გააფართოვეს ბიბლიოთეკა, შექმნეს ლიტერატურული ბიბლიოთეკა, სტუდენტთა დახურული დასვენების ზონები, როგორიცაა საბილიარდო, ჩოგბურთის მოედანი და ა. შ, დაამატეს კვების ობიექტებიც, აუდიტორიები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, ბიზნეს ვიზიტის ინკუბატორი, ლაბორატორია, მიაშენეს შენობას ლიფტი. პროგრამული კუთხით კი მისი განმარტებით, ინტენსიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან, რათა მათ გაეთვალისწინებინათ მათი გამოცდილებები, სწავლის შედეგები და თანამშრომლობის საფუძველზე წარმოედგინათ სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისი, ინოვაციური კუთხით საინტერესო პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტრატეგიის შემუშავებაში თუ ჰყავდათ ჩართული დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიმდინარეობდა ინტენსიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, შეხვედრები სტუდენტებთან და მათი გამოკითხვა პროგრამული თუ მატერიალური ნაწილის კუთხით, რისი დაოქმებაც ხდებოდა ფოტოსურათებით და ამ ყველაფერს ისინი შემდეგ განათავსებდნენ სოციალურ ქსელში ან ვებგვერდზე, რომლის განახლებასაც გეგმავდნენ წესდებასთან და სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა იკითხა, ჰქონდა თუ არა უსდ-ს კომპიუტინგის მიმართულებით ლაბორატორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა საბჭოს წევრს, რომ მათ ჰქონდათ ლაბორატორია, ასევე ჰქონდათ კომპიუტერული კლასები, პრაქტიკის ობიექტები, რაზეც საბჭოს წევრმა უპასუხა, რომ კომპიუტინგი მოიცავდა ინჟინერიის ელემენტსაც და აინტერესებს ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ტექნიკური სახის ლაბორატორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპიუტერული პროგრამების შესწავლის გარდა, მათ ჰქონდათ სასწავლო კურსი სადაც, მიმდინარეობდა ტექნიკური სამუშაოები, პრაქტიკული მუშაობისას კომპიუტერის ფიზიკურად დაშლა - აწყობა. საბჭოს წევრმა იკითხა, თუ რა იყო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვალიფიკაცია იყო ინჟინერიის ბაკალავრი.

საბჭოს თავმჯდომარემ ურჩია დაწესებულებას პრაქტიკის განხორციელების კუთხით გაეძლიერებინათ მუშაობა, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავდათ პრაქტიკის განმახორციელებელი 4 – 5 ორგანიზაცია, მათ შორის კომპანიები: ალტა, ოქეი, და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა უსდ-ს წარმომადგენელს თუ რა ფორმით ახორციელებდნენ საქმისწარმოებას, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შიდა დოკუმენტების ბრუნვა და ვიზირება ხდებოდა ელექტრონულად.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა კიდევ ერთხელ დაზუსტების მიზნით ჰკითხა უსდ-ს წარმომადგენელებს, რომ როგორც მან გაიგო ეს იყო განათლების აკადემიის საფუძველზე ჩამოყალიბებული უნივერსიტეტი, რომელიც ადრე საზოგადოებრივი კოლეჯი იყო, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საზოგადოებრივი კოლეჯი იყო სხვა იურიდიული პირი, რომლის სახელწოდებაც იყო საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი. მისი განმარტებით, განათლების აკადემია იყო საბაკალავრო კოლეჯი, რომელსაც ავტორიზაციის მიზნით უნდა შემოეტანა განაცხადი, როგორც სასწავლო უნივერსიტეტს, თუმცა შემდეგ მოხდა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისა და შპს ნიუ უნივერსითის რეორგანიზაცია, რომლის შედეგად უსდ -ს ეწოდა ნიუ უნივერსითი.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 16:45 საათზე.
სხდომა განახლდა 16:54 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისა და შპს ნიუ უნივერსითის რეორგანიზაციისა და ამ რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული

შპს ნიუ უნივერსითისთვის ავტორიზაციის ვადის 1 (ერთი) წლით განსაზღვრისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 29 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შპს ნიუ უნივერსითის (ს/კ: 204379083) ავტორიზაციის ვადად გადაწყვეტილების მიღებიდან განესაზღვროს 1 (ერთი) წელი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 150 - ით.

№	პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ
1.	კომპიუტინგი	ინჟინერიის ბაკალავრი კომპიუტინგში	240	არააკრედიტირებული
2.	მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	240	არააკრედიტირებული
3.	ფინანსები (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში	240	არააკრედიტირებული
4.	ფარმაცია	ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში	240	არააკრედიტირებული
5.	სამართალი	სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტირებული
6.	ფარმაცია (ინგლისურენოვანი)	ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში	240	არააკრედიტირებული
7.	ჯანდაცვის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	240	არააკრედიტირებული

8.	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	არააკრედიტირებული
9.	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration	240	აკრედიტირებული
10.	ტურიზმი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	240	არააკრედიტირებული
11.	საერთაშორისო ურთიერთობები	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	240	აკრედიტირებული
12.	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში	240	არააკრედიტირებული

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ ჰქონდათ რეკომენდაცია, კერძოდ დაწესებულების სახელწოდება შესაბამისობაში უნდა მოეყვანათ მათ სახესთან და საქმიანობის მოცულობასთან.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:05 საათზე.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი